**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს**
**გენერალური დირექტორი**

KA990143476725120

**№02/78** **27 / ნოემბერი / 2020 წ.**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს N1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე

**დანართი**

| № | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | ბეშთაშენის „ციკლოპური“ ნაქალაქარი | წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბეშთაშენი<br>**GPS კოორდ.**<br>44.10910; 41.64700<br>44.11260; 41.64710<br>44.11340; 41.64620<br>44.11300; 41.64580<br>44.11260; 41.64430<br>44.11170; 41.64350<br>44.11130; 41.64370<br>44.11110; 41.64460<br>44.11060; 41.64480<br>44.11090; 41.64590<br>44.11080; 41.64640<br>44.10910; 41.64650 | არქიტექტურის / არქეოლოგიური | ბრინჯაოს და ანტიკური ხანები, შუასაუკუნეები (ძვ. წ. IV ათასწ. მეორე ნახ. - ახ. წ. XIX ს.) |
| 2. | | კარსნის ყოფილი გეოფიზიკური ობსერვატორიის მთავარი შენობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარსანი (ს/კ 72.12.04.015) | არქიტექტურის / საინჟინრო / მემორიალური / საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის / მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი | 1910-1913 წლები |
| 3. | | აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის აგარაკი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, დაბა მანგლისი | არქიტექტურის / მემორიალური | XX საუკუნის I ნახევარი |
| 4. | | ვანთების ნამოსახლარი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ნიჩბისი<br>**GPS კოორდ.**<br>X-459980 Y-4628473;<br>X-459895 Y-4628497;<br>Y-4628487; X-459860<br>Y-4628561;<br>X-459894 Y-4628656; | არქიტექტურის / არქეოლოგიური | IX-X საუკუნეები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | X-460004; Y-4628746;<br>X-460113 Y-4628694;<br>X-460060 Y-4628574 | | |
| 5. | | კვასტიანების კოშკი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუწდი<br>**GPS კოორდ.**<br>324212.6 4747227.0 | არქიტექტურის | გვიანი შუა საუკუნეები |
| 6. | | ხაბულიანების კოშკი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი მუწდი<br>**(ს/კ 87.05.29.173)** | არქიტექტურის | გვიანი შუა საუკუნეები |
| 7. | | კოშკი-ქვაბული | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭველიერი<br>**GPS კოორდ.**<br>42.843315° 42.843013° | არქიტექტურის | განვითარებული შუა საუკუნეები |
| 8. | | საცხოვრებელი სახლი | ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ.N16 | არქიტექტურის | XIX საუკუნის ბოლო<br>XX საუკუნის დასაწყისი |
| 9. | | საცხოვრებელი სახლი | ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი, შ. რუსთაველის ქ.N9 | არქიტექტურის | XIX საუკუნის ბოლო<br>XX საუკუნის დასაწყისი |
| 10. | | საცხოვრებელი სახლი | ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი, შ. რუსთაველის ქ.N12 | არქიტექტურის | XX საუკუნის დასაწყისი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11. | | საცხოვრებელი სახლი | ადიგენის<br>მუნიციპალიტეტი,<br>დაბა აბასთუმანი,<br>შ. რუსთაველის ქ.N14 | არქიტექტურის | XIX საუკუნის<br>ბოლო<br>XX საუკუნის<br>დასაწყისი |
| 12. | | საცხოვრებელი სახლი | ადიგენის<br>მუნიციპალიტეტი,<br>დაბა აბასთუმანი,<br>შ. რუსთაველის ქ.N88 | არქიტექტურის | XX საუკუნის<br>დასაწყისი |
| 13. | | საცხოვრებელი სახლი | ადიგენის<br>მუნიციპალიტეტი,<br>დაბა აბასთუმანი,<br>ზ. ფალიაშვილის ქ.N18 | არქიტექტურის | XIX საუკუნის<br>დასასრული |